

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2021 წლის 10 დეკემბერი

ქ. ლაგოდეხი

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №34 დადგენილებაში(www.matsne.gov.ge 28/12/2020, 190020020.35.167.016492).

მუხლი 2

1. „ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №34 დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს დამტკიცდეს ლაგოდეხი მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:“

2. დადგენილების პირველი, მე-2, მე-3, მე-5, მე-6 მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-13, მე-15, მე-17, მე-19 მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	21,739.4	22,601.7	12,896.3	9,705.4	24,301.4	14,400.8	9,900.6
გადასახადები	10,851.8	11,110.4	11,110.4	-	12,952.2	12,952.2	-
გრანტები	9,658.9	10,511.6	806.2	9,705.4	10,278.2	377.6	9,900.6
სხვა შემოსავლები	1,228.6	979.6	979.6	-	1,071.0	1,071.0	-
II. ხარჯები	8,596.5	8,418.1	8,124.8	293.3	12,133.0	10,095.6	2,037.5



შრომის ანაზღაურება	1,583.5	1,493.7	1,493.7	-	1,873.0	1,873.0	-
საქონელი და მომსახურება	1,736.4	1,452.3	1,159.0	293.3	1,791.7	1,734.2	57.5
პროცენტი	53.5	49.4	49.4	-	40.0	40.0	-
სუბსიდიები	4,506.3	4,501.6	4,501.6	-	5,270.1	5,270.1	-
გრანტები	40.0	53.9	53.9	-	101.3	101.3	-
სოციალური უზრუნველყოფა	516.6	528.0	528.0	-	572.6	572.6	-
სხვა ხარჯები	160.1	339.2	339.2	-	2,484.3	504.3	1,980.0
III. საოპერაციო სალდო	13,142.9	14,183.6	4,771.5	9,412.1	12,168.4	4,305.3	7,863.1
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	13,361.7	15,952.4	5,672.0	10,280.4	14,380.1	6,076.0	8,304.1
ზრდა	13,385.8	16,167.1	5,886.7	10,280.4	15,533.5	7,229.3	8,304.1
კლება	24.1	214.6	214.6	-	1,153.3	1,153.3	-
V. მთლიანი სალდო	- 218.8	- 1,768.9	- 900.5	- 868.3	- 2,211.7	- 1,770.7	- 441.0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 427.1	- 1,887.8	- 1,019.5	- 868.3	- 2,296.1	- 1,855.1	- 441.0
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-
კლება	427.1	1,887.8	1,019.5	868.3	2,296.1	1,855.1	441.0
ვალუტა და დეპოზიტები	427.1	1,887.8	1,019.5	868.3	2,296.1	1,855.1	441.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 208.3	- 119.0	- 119.0	-	- 84.4	- 84.4	-
კლება	208.3	119.0	119.0	-	84.4	84.4	-
საშინაო	208.3	119.0	119.0	-	84.4	84.4	-
სესხები	208.3	119.0	119.0	-	84.4	84.4	-
VIII. ბალანსი	- 0.0	0.0	0.0	-	- 0.0	0.0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის	2020 წლის ფაქტი		2021 წლის გეგმა	
		მათ შორის	მათ შორის	მათ შორის	მათ შორის



	ფაქტი			სულ	საკუთარი შემოსავლები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	
	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები			
შემოსულობები	21,763.5	12,324.6	9,438.9	22,816.3	13,110.9	9,705.4	25,454.7	15,554.2	9,900.6
შემოსავლები	21,739.4	12,300.4	9,438.9	22,601.7	12,896.3	9,705.4	24,301.4	14,400.8	9,900.6
არაფინანსური აქტივების კლება	24.1	24.1	-	214.6	214.6		1,153.3	1,153.3	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-			-			-		
ვალდებულებების ზრდა	-			-			-		
გადასახდელები	22,190.6	12,332.1	9,858.5	24,704.1	14,130.4	10,573.7	27,750.9	17,409.3	10,341.6
ხარჯები	8,596.5	8,197.7	398.8	8,418.1	8,124.8	293.3	12,133.0	10,095.6	2,037.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	13,385.8	3,926.1	9,459.7	16,167.1	5,886.7	10,280.4	15,533.5	7,229.3	8,304.1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-			-			-		
ვალდებულებების კლება	208.3	208.3	-	119.0	119.0	-	84.4	84.4	-
ნაშთის ცვლილება	- 427.1	- 7.5	- 419.6	- 1,887.8	- 1,019.5	- 868.3	- 2,296.1	- 1,855.1	- 441.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 24301,4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი			2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები				
შემოსავლები	21,739.4	12,300.4	9,438.9	22,601.7	12,896.3	9,705.4	24,301.4	14,400.8	9,900.6
გადასახადები	10,851.8	10,851.8	-	11,110.4	11,110.4	-	12,952.2	12,952.2	-
გრანტები	9,658.9	220.0	9,438.9	10,511.6	806.2	9,705.4	10,278.2	377.6	9,900.6
სხვა შემოსავლები	1,228.6	1,228.6		979.6	979.6		1,071.0	1,071.0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 10278,2 ათასი ლარით:



დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
გრანტები	9,658.9	10,511.6	10,278.2
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	9,658.9	10,511.6	10,278.2
გათანაბრებითი ტრანსფერი	-	500.0	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	220.0	306.2	377.6
კაპიტალური ტრანსფერი	9,438.9	9,705.4	7,920.6
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის:	-	-	1,980.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	-		1,980.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	-		
	-		

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1071,0 ათასი ლარით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1,228.6	979.6	1,071.0
შემოსავლები საკუთრებიდან	553.1	500.6	355.0
პროცენტები	311.5	272.6	210.0
დივიდენდები	-		
რენტა	241.6	228.0	145.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	279.9	127.6	160.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	275.2	124.5	160.0
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	-		
სანებართვო მოსაკრებელი	33.7	51.3	30.0
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვის დაჩქარებისათვის	-		



საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	-	0.0	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.6		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	180.8	2.4	-
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	-		
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	-		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	60.1	70.8	130.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	-		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	4.6	3.0	-
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	270.8	166.8	300.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	-		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	124.8	184.7	256.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 12133,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	8,596.5	8,418.1	8,124.8	293.3	12,133.0	10,095.6	2,037.5
შრომის ანაზღაურება	1,583.5	1,493.7	1,493.7	-	1,873.0	1,873.0	-
საქონელი და მომსახურება	1,736.4	1,452.3	1,159.0	293.3	1,791.7	1,734.2	57.5
პროცენტები	53.5	49.4	49.4	-	40.0	40.0	-
სუბსიდიები	4,506.3	4,501.6	4,501.6	-	5,270.1	5,270.1	-
გრანტები	40.0	53.9	53.9	-	101.3	101.3	-
სოციალური უზრუნველყოფა	516.6	528.0	528.0	-	572.6	572.6	-
სხვა ხარჯები	160.1	339.2	339.2	-	2,484.3	504.3	1,980.0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება



ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 14380,2 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 15533,5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 1153,3 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	359.4	41.2	64.9
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	359.4	41.2	64.9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8,661.1	13,390.2	12,190.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,830.5	8,716.4	7,334.9
02 02	წყლის სისტემების განვითარება	397.1	1,601.6	1,614.4
02 03	გარე განათება	183.8	180.8	110.5
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-	-	-
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	86.5	-	686.6
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	996.7	1,173.5	1,259.3
02 07	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,166.5	933.3	760.2
02 08	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	-	784.6	424.2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	289.0	44.5	122.5
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	289.0	3.8	-
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	-	-	-
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	-	40.8	122.5
04 00	განათლება	2,064.4	2,304.6	1,941.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	43.3	139.9	103.7
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,651.3	814.0	1,430.2
04 03	განათლების ღონისძიებები	369.8	1,350.7	407.1
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	385.0	104.2	1,207.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	385.0	70.1	488.3
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	-	34.1	719.1
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,627.0	282.3	7.5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	398.2	282.3	7.5
06 02	სოციალური დაცვა	1,228.8	-	-



ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	24.1	214.6	1,153.3
ძირითადი აქტივები	16.0	71.9	292.5
მატერიალური მარაგები			1.9
არაწარმოებული აქტივები	8.1	142.7	859.0
მიწა	8.1	142.7	859.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით.

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,837.2	2,168.1	3,081.8
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,837.2	2,118.7	2,906.8
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,837.2	2,118.7	2,756.8
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	-	150.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები		49.4	40.0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			135.0
7.2	თავდაცვა	88.3	78.5	100.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	88.3	78.5	100.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	7,082.2	10,231.2	8,678.6
7.4.5	ტრანსპორტი	7,082.2	10,231.2	8,678.6
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,887.5	8,862.4	7,342.8
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	1,194.7	1,368.8	1,335.8



7.5	გარემოს დაცვა	1,330.3	1,038.2	1,259.1
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1,330.3	997.4	1,136.6
7.5 3	გარემოს დაზიანებების წინააღმდეგ ბრძოლა	-	40.8	122.5
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2,426.6	4,222.1	4,592.5
7.6 3	წყალმომარაგება	507.1	1,684.2	1,690.4
7.6 4	გარე განათება	639.5	754.3	885.0
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1,280.0	1,783.6	2,017.1
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	539.4	421.5	154.0
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	539.4	421.5	154.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,378.0	942.2	2,238.1
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,155.4	132.5	613.9
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	192.6	769.7	1,584.1
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	30.0	40.0	40.0
7.9	განათლება	4,597.7	4,626.1	4,778.1
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	3,993.1	3,138.7	4,180.2
7.9 2	ზოგადი განათლება	604.7	1,487.4	597.9
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	604.7	1,487.4	597.9
7 10	სოციალური დაცვა	1,906.3	705.9	2,784.3
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	39.5	71.3	70.3
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	48.0	48.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	110.2	149.6	152.0
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	-	20.3	30.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	53.6	31.7	40.0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1,703.0	385.0	2,444.0
	სულ	22,186.0	24,433.8	27,666.5

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 2211,7 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 12168,4 ათასი ლარით:



დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	13,142.9	14,183.6	12,168.4
მთლიანი სალდო	- 218.8	- 1,768.9	- 2,211.7

თავი II. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 13219.8 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის პროგნოზი	დაფინანსება 2021-2024 წლებზე
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13,219.8	28,033.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7,342.8	14,512.5
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	0.0	600.0
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	7,338.1	13,907.8
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	4.8	4.8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,690.4	4,130.9
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	76.0	376.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	1,614.4	3,754.9
02 03	გარე განათება	885.0	3,905.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	173.5	483.5
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	711.5	3,421.5
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	0.0	0.0
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მშენებლობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	-	0.0
02 04 02	ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-	0.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	751.6	1,034.6
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	686.6	686.6



02 05 02	საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა	0.0	33.0
02 05 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	65.0	235.0
02 05 04	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	0.0	0.0
02 05 05	სასაფლაობის მოვლა-პატრონობა	0.0	80.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1,335.8	1,335.8
02 07	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	760.2	760.2
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	454.0	2,354.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	02 01		7,342.8	14,512.5
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით 			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა 			

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	02 01 01		0	600,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ა/ბეტონის საფარიანი შიდა გზების ორმოულ შეკეთებას.</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით 			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა 			



პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	02 01 02		7,338.1	13,907.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მოწყობა - რეაბილიტაციას.</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით 			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა 			

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	02 02		1,690.4	4,130.9
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების მოწყობა/რეაბილიტაციას და არსებული სისტემების მოვლა-პატრონობას.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამა და სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან.</p> <p>წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად 			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; • - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა; • - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად; • - წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. 			



პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	02 02 01		76.0	376.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, მოვლა-პატრონობა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთი პრიორიტეტული საქმიანობაა. ყოველდღიურად ხდება წყლის სათავე ნაგებობებზე შემოვლა შემოწმებები, დაზიანებული მაგისტრალის აღდგენა, შედუღება, ურდულების შეკეთება შეცვლა, იცლება ავზები, სუფთავდება და ივსება, ხდება გაზიდული მილების გაწმენდა და სხვა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. 			
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობას მიეწოდება სასმელი წყალი 24 საათიანი გრაფიკით			

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	02 02 02		1,614.4	3,754.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ჰაბურდილების, სათავე ნაგებობებისა და სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა/რეაბილიტაციას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. 			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; • - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა; • - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად; • - წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. 			

კოდი	2021 წლის დაფინანსება	დაფინანსება 2021-2024
------	-----------------------	-----------------------



პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	ათას ლარში	წლებზე ათას ლარში
			885.0	3,905.0
პროგრამის განმახორციელებელი	02 03	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას და გარე განათების ახალი ქსელის მოწყობას. პროგრამის მიზანია: ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება.		
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი გამართული გარე განათების სისტემა.		

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
			173.5	483.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	02 03 01	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		მუნიციპალიტეტში სულ 15 თემია, ქალაქის და მასში შემავალი თემების გარე განათების აღდგენა, განახლება და მოვლა-პატრონობა შედის ააიპ „სერვის ცენტრი“ ს საქმიანობაში. შესასრულებელი სამუშაოებისათვის (ახალი სანათების დაყენება, არსებული დაზიანებული სანათების შეცვლა, დემონტაჟი და მონტაჟი, მასიური გათიშვებისა და დაზიანებების აღმოფხვრა და სიპების (კაბელი) გაჭიმვა, გამანაწილებელი კარადების შეკეთება და სხვა. საახალწლო ილუმინაციების, აქსესუარებისა და ნაძვის ხის მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოების განხორციელება. ქვეპროგრამის მიზანია: ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება.		
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი გამართული გარე განათების სისტემა.		

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
			711.5	3,421.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	02 03 02	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შიდა გზები, მაგისტრალური) გარე განათების ახალი მაგისტრალურის მოწყობა ასევე დასასვენებელ სკვერებში და პარკებში განათების მოწყობა. ქვეპროგრამის მიზანია: ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება.		



მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი გამართული გარე განათების სისტემა.
--------------------	---

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	02 06		1,335.8	1,335.8
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:</p> <p>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16 ლარი;</p> <p>დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი.</p> <p>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:</p> <p>ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;</p> <p>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p> <p>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით.</p> <p>მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;</p>			
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა			

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	02 07		760.2	760.2
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობის, ნაპირსამაგრი საშუაობის და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.</p> <p>2021 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, პროგრამიდან შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p>			



	პროგრამის მიზანია სტიქიის პრევენცია.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდა; გზაბის და სხვა ინფრასტრუქტურის ესპლუატაციის ხანგრძლივობის გაზრდა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	02 08		440.0	2,340.0
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება</p>			
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)			

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4778,1 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის პროგნოზი	დაფინანსება 2021-2024 წლებზე
04 00	განათლება	4,778.1	13,408.1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,750.0	11,380.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,430.2	1,430.2
04 03	განათლების ღონისძიებები	597.9	597.9

			დაფინანსება
--	--	--	-------------



პროგრამის/ ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლებზე ათას ლარში
	04 01		2750,0	11380,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება.			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 31 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1700 ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 151 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა. ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1700 შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 85%-ს შეადგენს</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	04 02		1,430.2	1,430.2
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღები იყოს კეთილმოწყობილი და ფუნქციონირებდეს გამართულად.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღები არის კეთილმოწყობილი და აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად.			

პროგრამის	2021 წლის დაფინანსება	დაფინანსება 2021-2024
-----------	--------------------------	--------------------------



დასახელება	კოდი	განათლების ღონისძიებები	ათას ლარში	წლებზე ათას ლარში
	04 03		597.9	597.9
პროგრამის განმახორციელებელი		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამის ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება 20 საჯარო სკოლის იმ მოსწავლეების ტრანსპორტირება, რომელთა საცხოვრებელი ადგილი სკოლიდან მინიმუმ 2 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს.</p> <p>პროგრამის ფარგლებში, ასევე ხორციელდება საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.</p> <p>პროგრამის მიზანია: პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლები იყოს კეთილმოწყობილი და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებმა სასკოლო ასაკის მქონე ყველა მოქალაქემ შეძლოს საშუალო განათლების მიღება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლები არის კეთილმოწყობილი, ასევე საჯარო სკოლის მოსწავლეები ნაკლებ დროსა და რესურს ხარჯავენ სკოლაში წასვლისა და სკოლიდან საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებისათვის.		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2938,3 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის პროგნოზი	დაფინანსება 2021-2024 წლებზე
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,938.3	5,778.3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	154.0	544.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	138.0	528.0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია	16.0	16.0
06 02	სოციალური დაცვა	2,784.3	5,234.3
06 02 01	ჰემო დიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	30.0	120.0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	152.0	711.0
06 02 03	სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	304.0	1,130.0
06 02 04	უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა	48.0	198.0



06 02 05	სტუდენტების დახმარების პროგრამა	17.0	92.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	118.0	448.0
06 02 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	13.0	55.0
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	5.0	35.0
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	30.0	120.0
06 02 10	უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება	40.0	160.0
06 02 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	2.0	5.0
06 02 12	სარიტუალო ხარჯი	5.0	20.0
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა	40.3	160.3
06 02 14	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	1,980.0	1,980.0

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	06 01 01		138.0	528.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ ლავოდების საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2. იმუნოპროფილაქტიკა. 			



	<p>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> <p>5. 2 დან 10 წლამდე ასაკის ბავშვთა ჰელმინთებზე კვლევის და მკურნალობის პროგრამა.</p> <p>6. არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია.</p> <p>7. „C“ ჰეპატიტის, შიდსის და ტუბერკულოზის სკრინინგი.</p> <p>მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2021-2024 წლებზე ათას ლარში
	06 01 02		16.0	16.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია			
